მე და არჩევნები

რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს მოქალაქეებმა

2012

მე და არჩევნები

რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს მოქალაქეებმა

C I P D D
თბილისი
2012

ბროშურა „მე და არჩევნები. რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს მოქალაქეებმა“ მომზადდა ***ევროპის საბჭოს*** ფინანსური მხარდაჭერით.

ტექსტი ეკუთვნის გია ნოდიას და კოტე კანდელაკს

მხატვარი: შალვა ჭეიშვილი

© მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2012

მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი 72, თბილისი 0154, საქართველო
სააბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 235 51 54, ფაქსი (995 32) 235 57 54
ელ-ფოსტა: info@cipdd.org;
www.cipdd.org

2012 წლის ოქტომბერში საქართველოში დაგეგმილია საპარლამენტო არჩევნები, რასაც მოყვება საპრეზიდენტო არჩევნები 2013 და ადგილობრივი (მუნიციპალური) არჩევნები 2014 წლებში. ახალგაზრდა დემოკრატიისთვის, როგორიც არის საქართველო, ეს განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია.

ბევრი თქვენგანისთვის ეს პირველი არჩევნები იქნება: პირველად მოგეცემათ შანსი, მოახდინოთ გავლენა იმაზე, თუ როგორ იმართება ჩვენი ქვეყანა.

ჩვენ გადავწყვიტეთ, მოგვემზადებინა მოკლე ბროშურა, რომელიც გაერთიანებდა როგორც შედარებით ზოგად თემებს (რატომ არის არჩევნები ასე მნიშვნელოვანი ჩვენი პოლიტიკური სისტემისთვის? სახელდობრ რა უფლებამოსილება აქვს იმ ორგანოებს, რომელთა არჩევნებშიც ვიღებთ მონაწილეობას?), ისე კონკრეტულად საქართველოს საარჩევნო სისტემის და კონკრეტული საარჩევნო პროცედურების თავისებურებებს. ამ თემებს აქვს გამაერთიანებელი: ეს ყველაფერი უნდა იცოდეს მოქალაქემ, ვისაც სურს, რომ არჩევნებში მისი მონაწილეობა გააზრებული სამოქალაქო აქტი იყოს.

ბროშურა მომზადებულია ევროპის საბჭოს დახმარებით, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით. მისი ტექსტი ეკუთვნის გია ნოდიას და კოტე კანდელაკს.

დემოკრატია და მოქალაქე

საქართველოში თითქმის ყველა უჭერს მხარს დემოკრატიას. ბევრი მოქალაქე არ არის კმაყოფილი დემოკრატიის დღევანდელი დონით და აკრიტიკებს ჩვენი პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა მხარეს. მაგრამ თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ ქვეყანას განვითარების სხვა გზა არ გააჩნია: ის აუცილებლად დემოკრატიული უნდა იყოს.

სახელდობრ რა არის დემოკრატია? რაზე და ვისზეა დამოკიდებული, დემოკრატიულია თუ არა ქვეყნის პოლიტიკური სისტემა? რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამისთვის არჩევნებს?

რას ნიშნავს ხალხის მმართველობა?

პირველ რიგში, დემოკრატიაზე საუბრისას გვახსენდება, რომ ის „ხალხის მმართველობაა“. ეს ბერძნული სიტყვა ქართულად სწორედ ასე ითარგმნება: „დემოსი“ ხალხს ნიშნავს, „კრატოსი“ კი – ძალაუფლებას. მაგრამ ვინ არის „ხალხი“? და რას ნიშნავს, რომ ხალხი „მართავს“?

ძველ საბერძნეთში, სადაც ეს სიტყვა შეიქმნა, ეს ყველასათვის ცხადი იყო. ძველი სამყაროს ყველაზე ცნობილი დემოკრატია მოიცავდა ერთ ქალაქს – ათენს, სადაც დღევანდელ სტანდარტებთან შედარებით საკმაოდ ცოტა ადამიანი ცხოვრობდა. მოქალაქედ ითვლებოდა მხოლოდ თავისუფალი მამამაკაცი, რომელიც ათენის მკვიდრი იყო – ქალები, მონები და უცხოელები გამოირიცხებოდა. ყველა მოქალაქე ეტეოდა ქალაქის მოედანზე. სწორედ ასე შეკრებილი ადამიანები შეადგენდნენ „ხალხს“, რომელიც უშუალოდ წყვეტდა ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. აქვე ანაწილებდნენ თანამდებობებს, რომლებსაც მოქალაქეები რიგრიგობით იკავებდნენ – არჩევნებით ან წილისყრით. როგორც წესი, მოქალაქეები ერთმანეთს პირადად იცნობდნენ, რაც აადვილებდა საკითხების ერთობლივ გადაწყვეტას. დღევანდელი ტერმინებით, გადაწყვეტილების მიღების ამგვარ სისტემას „პირდაპირ დემოკრატიას“ ვუწოდებთ.

დღეს ასეთი რამ პრაქტიკულად წარმოუდგენელია. საქართველოზე ხშირად ვამბობთ, რომ ის პატარა ქვეყანაა. მაგრამ შესაძლებელია, მისი ყველა ზრდასრული მოქალაქე ფიზიკურად ერთად შეიკრიბოს ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად? ცხადია, ასე სისტემა ვერ იმუშავებს.

თანამედროვე დემოკრატიებს „წარმომადგენლობითს“ ვუწოდებთ. ხალხის მონაწილეობა ხელისუფლებაში უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმით, რომ ისინი ირჩევენ წარმომადგენლებს – მათ, ვისაც სახელისუფლებო ფუნქციების განხორციელებას ანდობენ. ამიტომაა არჩევნები ასე მნიშვნელოვანი თანამედროვე დემოკრატიისთვის.

მხოლოდ არჩევნები?

ნიშნავს თუ არა ეს, რომ „ხალხის მმართველობა“ ამოიწურება იმით, რომ რამდენიმე წელიწად-

ში ერთხელ არჩევნებზე მივალთ და ქვეყნის მართვის ამოცანას ჩვენთვის სანდო ადამიანებს გადავულოცავთ?

არა, ეს ცნება გაცილებით უფრო ფართეა. მოქალაქეები, ჩვეულებრივ, აკვირდებიან იმას, თუ როგორ ასრულებენ მათი რჩეულები თავის მოვალეობებს და ამაზე თავის აზრს გამოხატავენ. ხანდახან, ეს საპროტესტო აქციების სახეს იძენს – რაც დემოკრატიის ნორმალური ნაწილია. ასევე სავსებით ნორმალურია, ხელისუფლებას მოსთხოვო რაიმე კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტა: ვთქვათ, გზის გაყვანა ან პენსიის მომატება.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „აქტიური მოქალაქე“ აუცილებლად ისაა, ვინც ხშირად დადის საპროტესტო მიტინგებზე. მოქალაქის მონაწილეობა მართვაში შეიძლება მდგომარეობდეს იმაშიც, რომ ის ფიქრობს ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემებზე და აქტიურად გამოთქვანს აზრს იმაზე, თუ სახელდობრ როგორ უნდა გადაწყდეს ისინი: მაგალითად, როგორ მოგვარდეს ურთიერთობა მეზობელ ქვეყენასთან, განვითარდეს სოფლის მეურნეობა, ან უფრო გამართული გახდეს ჯანდაცვის სისტემა.

არ უნდა ველოდეთ, რომ მოქალაქეთა ნებისმიერ მოსაზრებას ხელისუფლება უმალ გაიზიარებს და მას სახელმწიფო პოლიტიკად აქცევს, მაგრამ ამ გზით იქმნება საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც ნებისმიერი ხელისუფლება ანგარიშს უწევს.

მართვაში მონაწილეობა შეიძლება ნიშნავდეს კონკრეტულ ინსტიტუტებში პერიოდულ მონაწილეობასაც: მოქალაქე შეიძლება შევიდეს საარჩევნო კომისიაში ან არჩევნების დღეს რომელიმე პარტიის ან ორგანიზაციის სახელით არჩევნების მსვლელობას დააკვირდეს; ის შეიძლება ნაფიც მსაჯულად მოგვევლინოს და მსჯავრდებულის ბედი გადაწყვიტოს. ასეთ დროს რიგითი მოქალაქე კონკრეტული სახელისუფლებო ფუნქციის განხორციელებაში მონაწილეობს.

მიუხედავად ამისა, ქვეყნის ყოველდღიური მართვა, მისი სტრატეგიული გეზის განსაზღვრა ძირითადი სახელისუფლებო ორგანოების საქმეა, ისინი კი, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არჩევნების გზით იქმნება. ამიტომ, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს სამოქალაქო აქტივობის

სხვა ფორმები, არჩევნებში მონაწილეობას მაინც განსაკუთრებული დატვირთვა რჩება.

რატომ უნდა მივიღოთ მონაწილეობა?

სავალდებულოა თუ არა მოქალაქისთვის არჩევნებში მონაწილეობა? არის ქვეყნები, სადაც ეს ვალდებულება კანონითაა გასაზღვრული: ვინც არჩევნებში არ იღებს მონაწილეობას, ისჯება (მაგალითად, ჯარიმის სახით). ჩვენთან ასეთი ფორმალური ვალდებულება არ არსებობს. მაგრამ თუმცა არჩევნებში არმისვლისთვის ვერავის დასჯიან, ეს მაინც მნიშვნელოვანი სამოქალაქო ვალდებულებაა.

ინდივიდს შეუძლია სხვადასხვა მოტივით გაამართლოს არჩევნებში მონაწილეობის არმიღება: „პოლიტიკა არ მაინტერესებს“, „არც ერთი კანდიდატი არ მომწონს“, „ერთი ხმა არაფერს წყვეტს“ და ასე შემდეგ. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არჩევნებზე არმისვლით ჩვენ თავს ვარიდებთ ჩვენს სამოქალაქო პასუხისმგებლობას და გულგრილობას გამოვხატავთ ქვეყნის ბედის მიმართ. პრაქტიკულად ამით პასიურად ვეთანხმებით იმ ადამიანთა გადაწყვეტილებას, ვინც მიდის და ხმას აძლევს.

ადამიანებს, ვინც პოლიტიკით არ ინტერესდებოდა და თავის სამოქალაქო მოვალეობას თავს არიდებდა, ათენელები „იდიოტებს“ ეძახდნენ. დღეს ამ სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ „აპოლიტიკური“ ადამიანი თავისი ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქე ვერ იქნება.

რა თქმა უნდა, არჩევნებში მონაწილეობა სულაც არ არის იმის გარანტია, რომ კარგი მთავრობა გვეყოლება: შეიძლება, ჩვენი კანდიდატი დამარცხდეს, ან გაიმარჯვოს, ოღონდ შემდეგ აღარ გაგვიმართლოს იმედები. მაგრამ თუ არც კი იღებ არჩევნებში მონაწილეობას, კარგავ იმის მორალურ უფლებას, ხელისუფლების მიმართ პრეტენზია გამოთქვა: შეგეძლო, მოგეხდინა გავლენა მასზე, მაგრამ არ გამოიყენე ეს შესაძლებლობა.

ვის და რის მიხედვით ვაძლევთ ხმას?

რის მიხედვით ვწყვეტთ, ვის უფრო ვენდობით? ცხადია, ეს თითოეული ჩვენგანის პირადი საქმეა: ვერავინ უკარნახებს მოქალაქეს, ვის უნდა მისცეს ხმა და რატომ. მაგრამ შეგვიძლია გამოვყოთ ზოგადი პრინციპები, რითაც შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ.

პირველ რიგში, ჩვენ თავს უნდა დავუსვათ კითხვა: რა თვისებები უნდა ჰქონდეთ მათ, ვისაც ქვეყნის ბედის გადაწყვეტას ვანდობთ? მეორეს მხრივ, საიდან ვიცით, რომ ჩვენს მოწონებულ კანდიდატებს სწორედ ეს თვისებები აქვთ?

პოლიტიკოსებს ჩვეულებრივ ორი კრიტერიუმით არჩევენ: მორალურით და პროფესიულით. პირველ რიგში, მას უნდა ვენდობოდეთ, ანუ უნდა გვჯეროდეს, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, პოლიტიკოსი ნამდვილად დაიცავს ჩვენს ინტერესებს. ის უნდა იყოს პატრიოტი, პატიოსანი, გულისხმიერი, მებრძოლი ადამიანი. მეორეს მხრივ, ის უნდა ერკვეოდეს იმ საკითხებში, რომელთა გადაწყვეტაც მოუხდება. ეს არ ნიშნავს, რომ ის წინასწარ კომპეტენტური იქნება ყველა ცალკეულ საკითხში: ასეთი ადამიანები არ არსებობს. მაგრამ მას პრინციპულად სწორად უნდა ესმოდეს ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების არსი და იმის უნარი ჰქონდეს, მათი გადაწყვეტის ადექვატური მეთოდები მონახოს.

საიდან ვიცით, საარჩევნო ბიულეტენებში შესული კანდიდატებიდან რომელს აქვს ამგვარი თვისებები? ეს ძალიან რთული საკითხია – ალბათ, ყველაზე რთული, რაც არჩევნებს უკავშირდება. როგორც წესი, კანდიდატებს პირადად არ ვიცნობთ. მაშ, რით უნდა ვიხელმძღვანელოთ?

ადამიანის შეფასების ყველაზე სანდო კრიტერიუმი მისი გაკეთებული საქმეა. ამიტომ შედარებით უფრო ადვილია იმ კანდიდატის თუ პარტიის შეფასება, ვინც უკვე არის ან ადრე იყო ხელისუფლებაში. ბევრის აზრით, ამის გამო სახელისუფლებო კანდიდატებს გარკვეული უპირატესობა აქვთ ოპოზიციასთან შედარებით: მოქალაქეებს უფრო უადვილდებათ მათი შეფასება. მაგრამ ეს უპირატესობა ადვილად იქცევა ნაკლად: თუ ადამიანები უკმაყოფილო არიან ქვეყნის მდგომარეობით და ამას ხელისუფლებას აბრა-

ლებენ, მათ შეუძლიათ დასაჯონ ეს უკანასკნელი და მოწინააღმდეგეებს მიანიჭონ უპირატესობა, თუნდაც ამ უკანასკნელთა უპირატესობაში ბოლომდე დარწმუნებულნი არც იყვნენ.

ოპოზიციის შეფასება გაცილებით უფრო ძნელია: განსაკუთრებით, თუ ის ხელისუფლებაში არასოდეს ყოფილა. ამ შემთხვევაში ამომრჩევლები ძირითადად იმას აქცევენ ყურადღებას, თუ წარსულში რით გამოუჩენიათ თავი ოპოზიციურ კანდიდატებს, რამდენად თანმიმდევრულია მათი მოღვაწეობა, რამდენად დამაჯერებელია ის შეფასებები, დაპირებები და შემოთავაზებები, რასაც მათგან ისმენენ.

არჩევანს სერიოზულად აადვილებს პოლიტიკური პარტიების არსებობა. ინდივიდუალური კანდიდატი უამრავია და შეუძლებელია, მათ უმრავლესობაზე ამომრჩეველს წარმოდგენა ჰქონდეს. მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ამორჩეველმა მეტნაკლებად ნათელი წარმოდგენა შეიქმნას ძირითად პოლიტიკურ პარტიებზე, მათ დამსახურებაზე, პოზიციებზე და საპროგრამო მიზნებზე. ამიტომ მყარი და სტაბილური პოლიტიკური პარტიების სისტემა წარმატებული დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

რა შემთხვევაშია არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი?

იმისათვის, რომ ქვეყანა დემოკრატიულად ჩაითვალოს, არ არის საკმარისი ის ფაქტი, რომ იქ არჩევნები ტარდება, მთავარია, ეს არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იყოს. რა შემთხვევაში შევძლებთ ვთქვათ, რომ არჩევნები ჩვენს ქვეყანაში სწორედ ასეთია?

საყოველთაო საარჩევნო უფლება. პირველ რიგში, ქვეყნის ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება და რეალური შესაძლებლობა, მისცეს ხმა თავის რჩეულს. ამ მხრივ რაღაც შეზღუდვა მაინც არსებობს: ხმის უფლება არა აქვთ ბავშვებს, უცხოელებს, დამნაშავეებს, ფსიქიკურად ავადმყოფებს. მაგრამ ითვლება, რომ შეზღუდვა მინიმალური უნდა იყოს. მაგალითად, 2011 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა ვენეციის კომისიის რეკომენდაცია და არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა ადამიანებს, ვინც შედარებით მსუბუქი დანაშაულისთვის იხდის სასჯელს.

სახელმწიფომ ასევე ნაკლებად უნდა შეზღუდოს ადამიანების უფლება, კანდიდატებად იყარონ კენჭი: მოქალაქეს არ უნდა ჰქონდეს იმის შეგრძნება, რომ არსებობს პარტია ან პოლიტიკური ლიდერი, რომელსაც შეუძლია ქვეყანა სწორი გზით წაიყვანოს, მაგრამ მას რაიმე მიზეზით არ შეუძლია თავისი კანდიდატურის წამოყენება.

ინფორმაციის და კამპანიის წარმოების თავისუფლება. როგორც ადრეც ვთქვით, ჩვენი არჩევანი აზრიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კარგად ვიცით, ვინ არიან კანდიდატები და რას გვთავაზობენ ისინი. როგორ უნდა გავიგოთ ეს? პირველ რიგში, თვითონ კანდიდატების საქმეა, თუ როგორ და რამდენად გააცნობენ თავს ამომრჩეველს. მაგრამ საამისოდ მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, უშუალოდ შეხვდნენ ამომრჩევლებს, გააცნონ მათ თავისი შეხედულებები ტელევიზიის, რადიოს, გაზეთების, ინტერნეტის, პლაკატების და ა. შ. მეშვეობით. თუ ამომრჩეველს არა აქვს რეალური შანსი, ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა კანდიდატი თუ პარტია, არჩევნები სამართლიანად ვერ ჩაითვლება.

ნების თავისუფალი გამოხატვა. გადაწყვეტილება, რომელიც ურნაში ჩაგდებულ ბიულეტენშია ფიქსირებული, მხოლოდ ამომრჩევლის ნება-სურვილს უნდა გამოხატავდეს. ის არ უნდა იყოს გარე ზეწოლის შედეგი: ამაში იგულისხმება როგორც მოქალაქის დაშინება, ისე მოსყიდვა. ამის საუკეთესო გარანტიაა ის, რომ ხმის მიცემის მომენტში ამომრჩეველი მარტოა და ვერავინ გაიგებს, თუ ვის მისცა ხმა: ფარული ხმის მიცემის გარანტია თავისუფალი არჩევნების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირობაა. გარდა ამისა, ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კანონმდებლობა კრძალავს ამომრჩევლის დაშინების და მოსყიდვის მცდელობას. ჩვეულებრივ იკრძალება უშუალოდ საარჩევნო უბნებში პოლიტიკური აგიტაციაც: გადამწყვეტ მომენტში არაფერი უნდა უშლიდეს ამომრჩეველს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება.



ხმის დათვლის სამართლიანობა. მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი დაფიქსირებს თავის ნებას, რჩება საფრთხე, რომ არჩევნების შედეგები რაიმე მეთოდით გაყალბდება. ამის არდაშვება სხვადასხვა დონის საარჩევნო კომისიის ამოცანაა. პირველ რიგში, კომისიის შემადგენლობაში უნდა იყვნენ პატიოსანი ადამიანები; გარდა ამისა, არჩევნების პროცესს და ხმის დათვლას ჩვეულებრივ აკვირდებიან ადამიანები (მათ შორის მოპაექრე პარტიების და კანდიდატების წარმომადგენლები), რომელთა ამოცანაა, გაყალბება არ დაუშვან.

როგორც ხედავთ, საკითხი იმის შესახებ, ჩაითვალოს თუ არა არჩევნები დემოკრატიულად, არც ისე მარტივია და კონკრეტულ ქვეყნებში შეიძლება საკამათოდ იქცეს. ამაზე ბევრს მსჯელობენ საქართველოშიც. არბიტრის როლს ამ საკითხში ხშირად აკისრებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ვინც არჩევნებზე დაკვირვებას აწარმოებს. საქართველოში არჩევნების სხვადასხვა ასპექტი ხშირად გამხდარა კრიტიკის საგანი, მაგრამ, როგორც წესი, ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციები ეჭვის ქვეშ არ აყენებენ არჩევნების ზოგადად დემოკრატიულ ხასიათს: საბოლოო ჯამში, მოქალაქეებს შეუძლიათ აირჩიონ ის, ვინც სურთ.

ხელისუფლების კონსტიტუციური სისტემა საქართველოში

არჩევნებზე ვირჩევთ არა „მთავრობას“ ზოგადად, არამედ კონკრეტულ სახელისუფლებო ორგანოებს კონკრეტული ფუნქციებით. შესაბამისად, არსებობს სხვადასხვა არჩევნები. უნდა ვიცოდეთ, თუ სახელდობრ რა ორგანოებს ვირჩევთ და რისთვის.

არჩევნები და სახელმწიფო ძალაუფლების სისტემა

თანამედროვე სახელმწიფოები გამოირჩევა იმით, რომ აქვთ სახელისუფლებო ორგანოების საკმაოდ რთული სისტემა, რომლის შიგნითაც გადანაწილებულია სხვადასხვა ფუნქცია. ყველა ქვეყანას თავისი სისტემა აქვს და ეს სისტემები დროდადრო შეიძლება შეიცვალოს.

ფუნქციების გადანაწილება ჩვეულებრივ ხდება როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ ჭრილში. ერთი მხრივ, არსებობს ხელისუფლების საერთო-ეროვნული ორგანოები, რომლებიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს, და რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება, რომლის უფლებამოსილება მისი ტერიტორიის რაღაც ნაწილზე ვრცელდება (მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, მხარის ან რაიონისა). მეორეს მხრივ, ფუნქციები ნაწილდება როგორც საერთო-ეროვნული, ისე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე (კერძოდ, ერთი ორგანო იღებს კანონებს, მეორე იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ამ კანონების ფარგლებში და ა.შ.).

დემოკრატია არ ნიშნავს, რომ ყველა სახელისუფლებო ორგანო ცალ-ცალკე ყალიბდება არჩევნების გზით. სავსებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ხალხი უშუალოდ ირჩევს, ვთქვათ, პოლიციის უფროსს, მოსამართლეს, ან ფოსტის გამგეს: ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი არჩევნებიც ტარდება. მაგრამ, როგორც წესი, მოქალაქეები უშუალოდ მხოლოდ ძირითადი სახელისუფლებო ორგანოების შემადგენლობას ადგენენ და თავის რჩეულებს ანდობენ იმის განსაზღვრას, თუ ვინ დაიკავებს დანარჩენ თანამდებობებს.

საქართველოში ბოლო ოცი წელია სამი სახის არჩევნები ტარდება: საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი (მუნიციპალური). ისინი ძალაუფლების განაწილების ჩვენეულ სისტემას შეესაბამება, თუმცა, ამ წლების განმავლობაში ეს სისტემაც არაერთხელ შეიცვალა. 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევ-

ნების თავისებურება ისაა, რომ ისინი მოასწავებს ძალაუფლების განაწილების ახალ წესზე გადასვლას, რომელიც 2010 წლის ნოემბრის საკონსტიტუციო ცვლილებებით განისაზღვრა.

ხელისუფლების ეფექტურობა და მისი შეზღუდვა

სახელდობრ როგორ უნდა იყოს განაწილებული სახელისუფლებო ფუნქციები სახელმწიფოში? ეს რთული საკითხია და სწორედ ამიტომაა, რომ სხვადასხვა ქვეყნებს მეტად განსხვავებული სისტემები აქვთ. მაგრამ ძირითადი კრიტერიუმი, რითაც ამ სისტემების შექმნისას დემოკრატიული ქვეყნები ხელმძღვანელობენ, ორია: ერთია სახელმწიფო სისტემის ეფექტურობა (ქმედუნარიანობა); მეორე – ხელისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა, რათა მან საფრთხე არ შეუქმნას მოქალაქეთა თავისუფლებას.

სახელმწიფო სისტემის ქმედუნარიანობა ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას აქვს რეალური შესაძლებლობა, მიიღოს და განახორციელოს გადაწყვეტილებები ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე: მაგალითად, დაიცვას ის გარე აგრესიისგან ან მტრულად განწყობილი ქვეყნების ძირგამომთხრელი საქმიანობისგან, უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი და არ დაუშვას კრიმინალური ჯგუფების უკონტროლო თარეში, დაამყაროს ქვეყანაში ფინანსური სტაბილობა, განავითაროს საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა და იზრუნოს მის გამართულ მუშაობაზე, იზრუნოს მოქალაქეთა განათლებაზე და ა. შ. სავსებით შესაძლებელია, ხელისუფლებას არ ჰქონდეს საკმარისი რესურსები ამ ფუნქციების განსახორციელებლად (მაგალითად, იმიტომ, რომ ვერ ახერხებს გადასახადების მოკრეფას), გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები ზედმეტად რთული და წინააღმდეგობრივი იყოს, ხელმძღვანელი ორგანოები ვერ უზრუნველყოფდნენ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას და ა. შ. ასეთი ქვეყნები არც ისე ცოტაა: მათ ხშირად სუსტ ან არშემდგარ სახელმწიფოებს უწოდებენ. მათ რიცხვს არც ისე შორეულ წარსულში საქართველოც მიეკუთვნებოდა.

მეორეს მხრივ, თუ სახელმწიფო ძალაუფლება კონცენტირებულია ერთი ადამიანის, ჯგუფის, დაწესებულების ხელში, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ის საფრთხეს შეუქმნის მოქალაქეთა თავისუფლებას. ამ მხრივ, გადამწყვეტი არ არის, მოცემულ მომენტში კონკრეტულად ვინ აკონტროლებს სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოებს: ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, ხელისუფლების მატარებლები ყოველთვის ესწრაფვიან თავისი უფლებამოსილების გაფართოებას, თუნდაც იმიტომ, რომ, მათი აზრით, ყველაზე უკეთ იციან, რა არის ქვეყნისთვის უკეთესი.

ერთადერთი საშუალება, რომელიც თუნდაც საუკეთესო მთავრობას არ მისცემს საშუალებას, ხელყოს მოქალაქის უფლებები, თვით მისი შეზღუდვაა. საამისოდ არ არის საკმარისი, კანონით დადგინდეს ხელისუფლების უფლებამოსილების საზღვრები (თუმცა ესეც აუცილებელია), საჭიროა, ნებისმიერი სახელისუფლებო ორგანოს საქმიანობა შეზღუდული და შებორკილი იყოს სხვა სახელისუფლებო ორგანოებით, რომელთაც არანაკლებ ამბიციური ადამიანები უდგანან სათავეში: მაგალითად, პრეზიდენტს ან პრემიერ-მინისტრს აწონასწორებდეს პარლამენტი, ორივე მათგანს – სასამართლო და ა. შ. ამას ურთიერთგაწონასწორების და შეკავების მექანიზმებს უწოდებენ. სწორედ მათი არსებობა ითვლება მოქალაქეთა თავისუფლების ძირითად გარანტად

ხელისუფლების ქმედუნარიანობისა და შეზღუდულობის შეხამება აუცილებელი, მაგრამ ძალიან რთული საქმეა: თუ მხოლოდ პირველზე ვიფიქრეთ, შეიძლება დიქტატურა შეგვრჩეს ხელთ, თუ მხოლოდ მეორეზე – „არშემდგარი სახელმწიფო“. ამიტომაა დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება ასე რთული ამოცანა, რომლის მისაღწევად არ არის საკმარისი ცალკეული ინდივიდების კეთილი ნება. ეს საქართველოსაც გაუჭირდა: ჩვენ რამდენჯერმე შევცვალეთ ძალაუფლების გადანაწილების კონსტიტუციური სისტემა და ჯერაც არა ვართ დარწმუნებული, რომ საჭირო ფორმულას მივაგენით.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლება

როგორც მართვის ეფექტურობის, ისე ხელისუფლების შეზღუდვის მექანიზმები მთელ სახელმწიფო სისტემას მოიცავს. მაგრამ ცენტრალური პრობლემა საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოთა მიმართებაა.

თანამედროვე დემოკრატიის ისტორია დიდწილად პარლამენტების ისტორიაა. პირველ რიგში, პარლამენტი საფიხვნოა, სადაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი, თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, თავის წუხილებს, მოთხოვნებს და მოსაზრებებს გამოხატავს (თვითონ ეს სიტყვა ფრანგული წარმოშობისაა და ლაპარაკს, დისკუსიას ნიშნავს). მაგრამ დემოკრატიაში პარლამენტი მხოლოდ სადისკუსიო კლუბი არ არის: ის გადაწყვეტილებებსაც იღებს.

ეს გადაწყვეტილებები ძირითადად ორი სახისაა. პირველ რიგში, პარლამენტი იღებს კანონებს, რომლებიც სამოქმედო საზღვრებს უდგენს როგორც რიგით მოქალაქეებს, ისე სახელისუფლებო ორგანოებს. სწორედ ამიტომ პარლამენტს „საკანონმდებლო ხელისუფლებას“ ვუწოდებთ. მეორეს მხრივ, პარლამენტის უმთავრესი ფუნქციაა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი. რას ნიშნავს აღმასრულებელი ხელისუფლება? როდესაც სახელმწიფოს მართვაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში სწორედ აღმასრულებელ ხელისუფლებას ვგულისხმობთ, რომელიც დღეს, ჩვეულებრივ, ან პრეზიდენტის და მისი მინისტრების, ან მინისტრთა კაბინეტის სახით არსებობს. უშუალოდ სწორედ ეს ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებებს ქვეყნისთვის და მათი მოქალაქეებისთვის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემებზე: სიტყვას „მთავრობა“ სწორედ მათ მიმართ ვხმარობთ. სიტყვა „აღმასრულებელი“ მიანიშნებს იმაზე, რომ მთავრობა, საბოლოო ჯამში, მოქალაქეთა ნებას აღასრულებს. ამიტომ ისიც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, არჩევნების გზით იქმნება.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი უშუალოდ არ იღებს ქვეყნის ყოველდღიურ მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, მას რამდენიმე მექანიზმი აქვს საიმისოდ, რომ გავლენა მოახდინოს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და შებოჭოს ის. როგორც უკვე ვთქვით, აღმასრულებელ ხელისუფლებას მხოლოდ პარლამენტის მიღებული კანონების ფარგლებში შეუძლია მოქმედება: ეს უკვე ზღუდავს მას. პარლამენტის ხელში განსაკუთრებით ძლიერი ბერკეტია სახელმწიფო ბიუჯეტი: ფულის გარეშე ხელისუფლება ვერაფერს გააკეთებს, მისი ხარჯვა კი მთავრობას მხოლოდ პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში შეუძლია.

გარდა ამისა, პარლამენტი გავლენას ახდენს აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებაზე, მაგრამ ეს გავლენა სხვადასხვა საკონსტიტუციო სისტემაში მეტად განსხვავდება. სწორედ ამ ნიშნით შეიცვალა რამდენჯერმე საქართველოს კონსტიტუცია.

როგორ იცვლებოდა საქართველოს კონსტიტუცია

1995-2003 წლებში აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელმძღვანელობდა პრეზიდენტი, რომელიც ქვეყანას მისი დანიშნული მინისტრების მეშვეობით მართავდა. პარლამენტს შეეძლო, დაეწუნებინა პრეზიდენტის მიერ დანიშნული რომელიმე მინისტრი, მაგრამ სხვაგვარ გავლენას აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებაზე ვერ მოახდენდა. სამაგიეროდ, პრეზიდენტსაც ნაკლებად ჰქონდა პარლამენტზე ზემოქმედების ბერკეტები.

2004 წლის თებერვალში მომხდარი ცვლილებებით პარლამენტის როლი ფორმალურად გაიზარდა, რადგან დამატებით შეიქმნა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, რომელიც დამოკიდებულია საპარლამენტო უმრავლესობაზე და რომლის გარეშე პრეზიდენტი ვერ დანიშნავს მინისტრების უდიდეს ნაწილს. მაგრამ, ამავე დროს, პარლამენტთან პრინციპული უთანხმოების შემთხვევაში პრეზიდენტს შედარებით ადვილად შეუძლია მისი დათხოვნა: ეს კი ნაკლებ სავარაუდოს ხდის, რომ პარლამენტი მას წინააღმდეგობას გაუწევს.

ფაქტობრივად, მთელი ამ დროის განმავლობაში, პრეზიდენტის ინსტიტუტს წამყვანი როლი ჰქონდა საქართველოს სახელისუფლებო სისტემაში. ბევრის აზრით, 2004 წლის ცვლილებებმა ის კიდევ უფრო გააძლიერა. შესაბამისად, მოქალაქეები ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას პრეზიდენტის არჩევისას იღებდნენ.

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. 2013 წელს მოქალაქეები პირდაპირი კენჭისყრით კვლავ აირჩევენ ქვეყნის პრეზიდენტს. მაგრამ ეს გაცილებით ნაკლებ გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა იქნება, ვიდრე ჩვენი დღევანდელი და წარსული პრეზიდენტები. მას დარჩება გარკვეული ფუნქციები თავდაცვის და საგარეო პოლიტიკის სფეროებში და არბიტრის როლი დაეკისრება სახელისუფლებო კრიზისის შემთხვევაში. მაგრამ ჩვეულებრივ ვითარებაში პრეზიდენტი ნაკლებ გავლენას მოახდენს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრი გადაინაცვლებს მინისტრთა კაბინეტში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს. ეს უკანასკნელი გახდება ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობის პირი, რომელიც წამყვან როლს ითამაშებს ქვეყნის მართვაში. მაგრამ ის, თუ ვინ გახდება პრემიერ-მინისტრი და ვინ იქნება მის კაბინეტში, მთლიანად დამოკიდებული იქნება პარლამენტზე: გადაწყვეტილებას

ამის შესახებ მიიღებს პარტია ან კოალიცია, რომელსაც პარლამენტში უმრავლესობა ექნება.

ამიტომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნები იქნება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნები საქართველოს ისტორიაში (თუ არ ჩავთვლით 1918 წლის ეროვნული საბჭოს არჩევნებს). ახალი პარლამენტი არა მხოლოდ შეასრულებს საკანონმდებლო ფუნქციებს, არამედ, დღევანდელი პრეზიდენტის ვადის ამოწურვის შემდეგ, გადამწყვეტ გავლენას მოახდენს ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებაზეც. ამით საქართველო არსებითად მიუახლოვდება ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში არსებულ საპარლამენტო სისტემებს.

არჩევითი ორგანოების ვადები

სახელმწიფო ძალაუფლების საკონსტიტუციო სისტემა ადგენს არა მხოლოდ ცალკეული სახელისუფლებო ორგანოების ფუნქციებს და უფლებამოსილებას, არამედ მათი მოქმედების ვადებსაც. ეს დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის უფლებამოსილების ვადაა ოთხი წელი, ხოლო პრეზიდენტისა – ხუთი.

ისევე, როგორც ხელისუფლების ქმედუნარიანობისა და მისი შეზღუდვის შემთხვევაში, აქ გადამწყვეტია გონივრული კომპრომისი. თუ ერთხელ არჩეულ პრეზიდენტს ან პარლამენტს მეტისმეტად დიდ ვადას მივცემთ (მაგალითად, ათ წელს), ეს ქმნის იმის რეალურ საფრთხეს, რომ ამით შესუსტდება ხალხის კონტროლის მექანიზმები ხელისუფლებაზე, ხოლო ხელისუფლება დაივიწყებს, რომ ანგარიშვალდებულია ამომრჩევლის წინაშე. მაგრამ მეტისმეტად ხშირი არჩევნები (მაგალითად, ყოველ წელს) ნიშნავს, რომ არჩეულ ხელისუფლებას არ ექნება საიმისო დრო, განახორციელოს თავისი საპროგრამო პრიორიტეტები, ხოლო ამომრჩეველი ვერ შეძლებს, სათანადოდ შეაფასოს მის რჩეულთა საქმიანობა. გარდა ამისა, მუდმივი წინასაარჩევნო ვითარება საზოგადოებაში არასტაბილურობის განცდას ბადებს და, შესაძლოა, ხელისუფლებას პოპულისტური გადაწყვეტილებებისკენ უბიძგოს.

ამიტომ, დემოკრატიის მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, მსოფლიოში ჩამოყალიბდა აზრი, რომ 4-5 წელი ყველაზე გონივრული ვადაა ხელისუფლების არჩევითი ორგანოების ფუნქციონირებისთვის (ადგილობრივი ხელისუფლების შემთხვევაში ეს ვადა შე-

იძლება რამდენადმე უფრო მცირე იყოს). ამ მხრივ, საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ვადები საერთაშორისო პრაქტიკას შეესაბამება.

ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ არჩევნებს შორის პერიოდში ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევდეს საზოგადოების განწყობას და არ რეაგირებდეს მასზე. მაგრამ ეს ხელისუფლების ხშირ ცვლას არ უნდა ნიშნავდეს: ხელისუფლების ვადამდე შეცვლა მხოლოდ ექსტრაორდინარულ სიტუაციაში ხდება. ეს არის ერთ-ერთი მაჩვენებელი, რომელსაც საპარლამენტო სისტემის მომხრეები უსვამენ ხაზს. საპრეზიდენტო სისტემა ამ მხრივ უფრო ხისტია: გარკვეული ვადით არჩეული პრეზიდენტის შეცვლა საკონსტიტუციო ჩარჩოებში მეტად ძნელია. საპარლამენტო სისტემაში კი შედარებით ადვილია მინისტრთა კაბინეტის შეცვლა ისე, რომ ამან ზოგადი პოლიტიკური დესტაბილიზაცია არ გამოიწვიოს.

საქართველოს საარჩევნო სისტემა

საქართველოში, როგორც ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში, ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც ძალაუფლებას მის მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებს. საქართველოს კონსტიტუციით ყველა მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს ან იქნეს არჩეული საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში და არჩევით თანამდებობებზე. არჩევნები ტარდება დემოკრატიული საარჩევნო პრინციპების დაცვით – საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.



ვნახოთ, რას გულისხმობს თითოეული ამ პრინციპის შინაარსი და როგორ ხორციელდება ისინი საქართველოში.

საყოველთაო საარჩევნო უფლება

საყოველთაო საარჩევნო უფლება გულისხმობს აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებებს:

- *აქტიური საარჩევნო უფლება* ნიშნავს იმას, რომ მოქალაქეს შეუძლია ხმა მისცეს თავის სასურველ კანდიდატს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში და სახელისუფლებო თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ არჩევნებში.

- *პასიური საარჩევნო უფლება* არის ადამიანის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.

ამასთანავე, საყოველთაო საარჩევნო უფლებას თან ახლავს გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც ყველა შემთხვევაში კანონითაა განსაზღვრული. ისინი შეეხება მოქალაქეობას, ასაკს, ენას და ა.შ. ჩვეულებრივ (მაგრამ არა ყოველთვის), შეზღუდვები უფრო მკაცრია პასიური საარჩევნო უფლების შემთხვევაში, რადგან ის ეხება მათ, ვინც თვითონ აცხადებს პრეტენზიას, არჩეულ იქნას სახელისუფლებო ორგანოებში.

მოქალაქეობა

2012 წლამდე როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება საქართველოში ვრცელდებოდა მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებზე. 2012 წლის აპრილიდან საქართველოს პარლამენტი განიხილავს შესწორებას, რომლის თანახმადაც პასიური საარჩევნო უფლება ვრცელდება აგრეთვე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებიც დაბადებული არიან საქართველოში და 10 წელი მაინც უცხოვრიათ ამ ქვეყანაში.

ბინადრობა

ბინადრობის ცენზი ეხება მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობას: საჯარო ხელისუფლების ორგანოებში არ შეიძლება არჩეული იყოს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე.

ასაკი

- საქართველოში ყველა დონის არჩევნებში ხმის მიცემა შეუძლია პირს, ვისაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან არჩევნების დღეს უსრულდება 18 წელი.

- პარლამენტის წევრად ადამიანი შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ 25 წლის ასაკიდან. 2012 წლის აპრილიდან პარლამენტი იხილავს საკონსტიტუციო შესწორებას, რითაც ეს ასაკი 21 წლამდე მცირდება.

- პრეზიდენტად არ შეიძლება არჩეული იქნას 35 წელზე უმცროსი, ხოლო ქალაქ თბილისის მერად – 25 წელზე უმცროსი ადამიანი.

ქმედუუნარობა, დანაშაული და პატიმრობა

- ის პირები, ვინც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იმყოფებიან, ვერ ისარგებლებენ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით. 2011 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესწორება, რის თანახმადაც ხმის უფლება უნარჩუნდება იმ პირებს, ვისაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძი-

მე დანაშაული, რომელიც ითვალისწინებს ხუთ წლამდე პატიმრობას.

- საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი ან ნარკოტიკების მომხმარებელი.

სახელმწიფო ენის ცოდნა

ენობრივი ცენზიც მხოლოდ პასიურ საარჩევნო უფლებაზე ვრცელდება. კანონი მოითხოვს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულმა მოქალაქემ ქართული ენა იცოდეს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს კანონმდებლობა სხვა შეზღუდვებს არ აწესებს.

თანასწორობის პრინციპი

თანასწორობის პრინციპი გულისხმობს, რომ თითოეული ამომრჩევლის ხმას თანაბარი წონა აქვს. ამის ერთ-ერთი გარანტია ამომრჩეველთა სიების შედგენაა. ამ სიებში შეყავთ საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს ყველა მოქალაქე ამომრჩევლის რეგისტრაციის მისამართის მიხედვით. მოქალაქე შეაქვთ მხოლოდ ერთ საარჩევნო სიაში და შესაბამისად იგი მხოლოდ ერთხელ აძლევს ხმას.

ეს პრინციპი პასიურ საარჩევნო უფლებაზეც ვრცელდება. დეპუტატობის კანდიდატს უფლება აქვს კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში და ერთი პარტიული სიით.

პირდაპირი არჩევნების პრინციპი

ზოგიერთ ქვეყანაში არჩევნები არაპირდაპირია: მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში თვითეული შტატის მოქალაქეები ირჩევენ ე. წ. „ამრჩევებს“, შემდეგ კი მათგან შედგენილი საარჩევნო კოლეგია ქვეყნის პრეზიდენტის ვინაობას ადგენს. საქართველოში ასე არ არის: აქ თითოეული ამომრჩეველი ყველა დონის არჩევნებზე პირადად აძლევს ხმას კონკრეტულ კანდიდატს ან პოლიტიკურ პარტიას.

არჩევნების ფარულობა



საქართველოში კენჭისყრა ტარდება სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინებში, სადაც ხმის მიცემის მომენტში ამომრჩევლის გარდა სხვა არავინ შეიძლება იმყოფებოდეს, გარდა იმ გამონაკლისისა, როცა ამომრჩეველს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი. აკრძალულია ნებისმიერი ზეგავლენა ამომრჩევლის ნების გამოვლინებაზე.

პოლიტიკური პარტიები

თანამედროვე დემოკრატიებში სააარჩევნო ბრძოლა, ჩვეულებრივ, პოლიტიკურ პარტიათა შორის შეჯიბრის სახეს იღებს. პოლიტიკური პარტია არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების მიზნით იქმნება და, როგორც წესი, საერთო მსოფლმხედველობრივ პრინციპებს ემყარება.

საქართველოს მოქალაქეებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული უფლება, შექმნან პოლიტიკური პარტია თუ სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში. საქართველოში ორასზე მეტი პოლიტიკური პარტიაა რეგისტრირებული, თუმცა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტ–ნაკლებად აქტიურად მხოლოდ მცირე რიცხვია ჩართული.

არსებული კანონმდებლობით პოლიტიკური პარტიის დაფუძნება რთული არ არის. იმისთვის, რომ პარტიის დამფუძნებელი ყრილობა კანონიერად ჩაითვალოს, მასში არანაკლებ სამასმა მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

დაუშვებელია ისეთი პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

პოლიტიკური პარტიის წევრობა ეკრძალება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობას, მოსამართლეებს და პროკურორებს.

იმისათვის, რომ პოლიტიკურმა პარტიამ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, მან რეგისტრაცია უნდა გაიაროს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკოში). ამისათვის პარტიამ სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს. პარტია, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, ვალდებულია ცესკოს წარუდგინოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი სულ ცოტა 25 000 ამომრჩევლის სია.

პოლიტიკური პარტიების საქმიანობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ფინანსურ რესურსებს, ამიტომ ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში კანონი ამ საკითხსაც არეგულირებს. საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს სახელმწიფო აფინანსებს: ის, პარტიები, რომლებიც წარმატებას აღწევენ არჩევნებზე, მომდევნო პერიოდში ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათ მიერ მოპოვებული მხარდაჭერის შესაბამისად. პარტიებმა შეიძლება სხვა წყაროებიდანაც მიიღონ დაფინანსება, მაგრამ კანონით მკაცრად დადგენილ საზღვრებში. კერძოდ, მათ უფლება აქვთ მიიღონ ფინანსური და მატერიალური შემოწირულებები საქართველოს მოქალაქეებისაგან (მაგრამ არა იურიდიული პირებისაგან), ოღონდ ერთი ადამიანისგან მიღებული შემოწირულობა წლის განმავლობაში 60 ათას ლარს არ უნდა აღემატებოდეს. პარტიის თითოეული წევრის საწევრო შენატანების წლიური ოდენობა ვერ აცდება 1 200 ლარს. წლის განმავლობაში პარტიის მიერ გაწეული ხარჯის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.2%-ს.

პარტიის ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა.

საარჩევნო სისტემები და მისი სახეები

საარჩევნო სისტემამ უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე ჯგუფთა სამართლიანი წარმომადგენლობა. მაგრამ რას ნიშნავს „სამართლიანი“? კონკრეტულად რა პრინციპით უნდა მოხდეს ხმების დათვლა? ეს არც ისე მარტივი საკითხია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს და თითქმის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ის მუდმივი დებატების საგანია. ასეა საქართველოშიც.

არსებობს სხვადასხვა საარჩევნო სისტემა. საქართველოში სარჩევნო სისტემა მუდმივად იცვლება, მაგრამ თითქმის ყველა საპარლამენტო არჩევნებში დაცული იყო ერთი ძირითადი პრინციპი: პარლამენტის წევრთა ნაწილი აირჩევა პროპორციული, ნაწილი კი – მაჟორიტარული სისტემით. ამიტომ საუბარს მათი დასახიათებით დავიწყებთ.

მაჟორიტარული სისტემა

მაჟორიტარული სისტემის სახელწოდება წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან majorité, რაც „უმრავლესობას“ ნიშნავს. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კანონით დადგენილი ხმების უმრავლესობას.

მაჟორიტარული სისტემა უმეტესად ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება. ეს ნიშნავს, რომ ამომრჩეველი ხმას აძლევს ერთ ინდივიდუალურ კანდიდატს, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ან არ წარმოადგენდეს პოლიტიკურ პარტიას.

ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში საარჩევნო ოლქების რაოდენობას და სიდიდეს. ზოგადად, სასურველია, ქვეყანა დაახლოებით თანაბარი ზომის საარჩევნო ოლქებად დაიყოს, რათა თითოეული ამომრჩევლის ხმას დაახლოებით თანაბარი წონა ჰქონდეს. თუმცა, ყველა ქვეყანაში ეს პირობა დაცული არ არის, რადგან მაჟორიტარული ოლქები ხშირად ისტორიული ტრადიციების მიხედვით დგინდება. ასეთი ვითარებაა საქართველოშიც.

იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რას ნიშნავს „ხმების უმრავლესობა“, მაჟორიტარული სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება. ყველაზე გავრცელებულია აბსოლუტური და ფარდობითი უმრავლესობის სისტემები. „აბსოლუტური უმრავლესობა“ ნიშნავს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 50 პროცენტს პლუს ერთ ხმას. თუ ამდენ ხმას ვერც ერთი პრეტენდენტი ვერ მიიღებს, იმართება მეორე ტური, რო-

მელშიც მონაწილეობს მხოლოდ ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი, არჩეულად კი მათ შორის გამარჯვებული ცხადდება.

ფარდობითი ან უბრალო უმრავლესობის სისტემა უფრო მარტივია: არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც მონაწილეთა შორის ყველაზე მეტი ხმა (ანუ ხმათა უბრალო უმრავლესობა) მიიღო. ამ სისტემით არჩევნების ერთი ტურიც საკმარისია.

ზოგიერთი ქვეყნის საარჩევნო კანონი ამ ორს შორის შუალედურ პრინციპს ადგენს: იმისათვის, რომ კანდიდატი არჩეულად ჩაითვალოს, მან უნდა მიიღოს თავის კონკურენტებზე მეტი ხმა, ამასთან ეს რაოდენობა უნდა მოიცავდეს მოცემულ ოლქში მოსულ ამომრჩეველთა რაღაც პროცენტზე მეტს. მაგალითად, თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს 30 პროცენტზე მეტს, ინიშნება მეორე ტური, სადაც მონაწილეობას იღებს პირველ ტურში ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

პროპორციული სისტემა

პროპორციულ სისტემაში ამომრჩეველი ხმას აძლევს არა ინდივიდუალურ კანდიდატს, არამედ პარტიულ სიას, ხოლო საარჩევნო ბიულეტენში შეტანილია მხოლოდ პარტიების (ბლოკების) სახელწოდებები. ამ სისტემის მიხედვით, პარტიებს შორის მანდატები ნაწილდება მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. მაგალითად, თუ წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევია 100 წევრი და X პარტია მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 60 პროცენტს, ხოლო Y პარტია – 40 პროცენტს, პირველ მათგანს ერგება 60 ადგილი, ხოლო მეორეს – 40. შესაბამისად, ერთი პარტიიდან არჩეულად ჩაითვლება პარტიულ სიაში ჩაწერილი პირველი სამოცი კანდიდატი, მეორედან კი – პირველი ორმოცი.

ბევრი ქვეყნის პროპორციული სისტემა აწესებს მინიმალურ ზღურბლს, რომლის გადალახვის გარეშე პარტია ვერ მოხვდება წარმომადგენლობით ორგანოში: მაგალითად, თუ პარტიულმა სიამ ვერ მიიღო მონაწილე ამომრჩეველთა ხმების სამ, ოთხ ან ხუთ პროცენტზე მეტი, მისი კანდიდატები არჩეულად ვერ ჩაითვლებიან. ეს კეთდება იმისთვის, რომ წარმომადგენლობითი ორგანო არ იყოს ზედმეტად „ჭრელი“, რომ მასში მხოლოდ ძლიერი პარტიები მოხვდნენ. ეს უფრო ეფექტიანს ხდის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობას.

პროპორციული და მაჟორიტარული სისტემების შეხამება საქართველოში

ორივე ხსენებულ სისტემას ჰყავს მომხრეები და მოწინააღმდეგეები როგორც საქართველოში, ისე სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში. მაჟორიტარული სისტემის უპირატესობა ისაა, რომ ის მარტივი და ამომრჩევლისთვის გასაგებია: მოქალაქე ხმას აძლევს კონკრეტულ პიროვნებას მისი საარჩევნო ოლქიდან, ამიტომ მეტი შანსია, რომ ის მას უკეთ იცნობდეს. გარდა ამისა, მაჟორიტარული სისტემა უკეთ უზრუნველყოფს ქვეყნის ყველა რეგიონის წარმომადგენლობას. მეორეს მხრივ, პროპორციული საარჩევნო სისტემა უკეთ უზრუნველყოფს იმას, რომ ადგილების განაწილება წარმომადგენლობით ორგანოში უფრო ზუსტად შეესაბამებოდეს სხვადასხვა პარტიის მხადაჭერას ქვეყნის მასშტაბით, მაშინ როდესაც მაჟორიტარული სისტემის შემთხვევაში პარტიამ, რომელსაც ამორჩეველთა შედარებით მცირე ნაწილი უჭერს მხარს, შეიძლება აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვოს პარლამენტში.

საქართველოში წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევა ორივე სისტემის მეშვეობით ხორციელდება. კერძოდ, საქართველოს პარლამენტი აირჩევა ოთხი წლის ვადით და შედგება 150 წევრისაგან, საიდანაც პროპორციული სისტემით აირჩევა 77, ხოლო მაჟორიტარული სისტემით – 73.

მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებიდან ათი თბილისშია, დანარჩენი 63 კი მუნიციპალიტეტების (თვითმმართველი ქალაქი, რაიონი) ტერიტორიას ემთხვევა. მათში კენჭისყრა შეუძლიათ როგორც პოლიტიკური პარტიების ან ბლოკების წარმომადგენლებს, ისე ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფების მიერ წამოყენებულ კანდიდატებს.

აქ გამარჯვებულის გამოსავლენად გამოიყენება ფარდობითი უმრავ-ლესობის სისტემა 30-პროცენტიანი ზღურბლით. თუ ვერცერთი კან-დიდატი ვერ მიიღებს ხმების 30 პროცენტზე მეტს, ინიშნება მეორე ტური, სადაც მონაწილეობას იღებს პირველ ტურში ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

იმ ნაწილში, რაც პროპორციული სისტემით აირჩევა, კანდიდატთა თითო სიის წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილე პარტი-ებსა და საარჩევნო ბლოკებს. წარდგენილ სიაში წევრობის კანდი-დატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი.

100 >
კანდიდატთა რაოდენობა
> 200

საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები მიეკუთვნება მხო-ლოდ იმ პარტიულ სიას, რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5 პროცენტისა.

საარჩევნო პროცედურები საქართველოში

ყველაფერი, რასაც პოლიტიკოსები აკეთებენ, მეტნაკლებად დაკავშირებულია არჩევნებთან: მათ უნდათ, მაქსიმალურად მოიპოვოს მოქალაქეთა მხარდაჭერა, რაც სწორედ არჩევნების შედეგებით გაიზომება. მაგრამ ფორმალურად საარჩევნო პროცესი არჩევნების დანიშვნის დღიდან იწყება და რამდენიმე სტადიისაგან შედგება.

არჩევნების დანიშვნა

საქართველოს კონსტიტუციით, მორიგი საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის ოქტომბერში უნდა ჩატარდეს. არჩევნების კონკრეტულ თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა. ეს ვადა საჭიროა, რომ დროულად გადაწყდეს არჩევნებთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხი.

არჩევნებში მონაწილე პარტიების (ბლოკების) და დამოუკიდებელი კანდიდატების რეგისტრაცია.

იმისათვის, რომ პარტიებმა და საარჩევნო ბლოკებმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ და საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლები დანიშნონ, მათ რეგისტრაცია უნდა გაიარონ.

რეგისტრაცია გაადვილებულია იმ პარტიებისთვის, ვისაც უკვე ჰყავს წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში: მათთვის საკმარისია დადგენილ ვადაში მიმართონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) თავმჯდომარეს. სხვა პარტიებმა ცესკოს თავმჯდომარეს უფრო ადრე, 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე უნდა მიმართონ, ხოლო 15 აგვისტომდე არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი სულ ცოტა 25 ათასი ამომრჩევლის სია უნდა წარმოადგინონ.

სათანადო წესით რეგისტრირებულ პარტიებს საარჩევნო ბლოკების შექმნა შუძლიათ. მაგრამ ამის შემდეგ პარტიას აღარ აქვს უფლება, დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში ან სხვა საარჩევნო ბლოკშიც შევიდეს.

რაც შეეხება მაჟორიტარული სისტემით მონაწილეობის მსურველ დამოუკიდებელ კანდიდატებს, მათ საარჩევნო ადმინისტრაციას უნდა წარუდგინონ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ ერთი პროცენტის ხელმოწერები და შესაბამის ანგარიშზე 5000-ლარიანი დეპოზიტი შეიტანონ. თუ კანდიდატმა ამომრჩეველთა სულ მცირე ათი პროცენტის მხარდაჭერა მოიპოვა, მას ეს თანხა სრულად დაუბრუნდება, სხვა შემთხვევაში კი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება.

საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნა

არჩევნებისთვის ქვეყანა იყოფა ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებად და უბნებად. საპარლამენტო არჩევნებისათვის თითოეული მუნიციპალიტეტი, თბილისის გარდა, ერთი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქია, თბილისში კი ათი საარჩევნო ოლქი იქმნება.

საარჩევნო ოლქები თავის მხრივ იყოფა საარჩევნო უბნებად. ყოველი მოქალაქე სწორედ სარჩევნო უბანში რეგისტრირდება და იქ აძლევს ხმას. ასეთი უბანი იქმნება არანაკლებ 20 და არაუმეტეს 1500 ამომრჩევლისთვის.

საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაციის ამოცანაა, ორგანიზაცია გაუწიოს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას. ის შედგება ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.

ყველა დონის საარჩევნო კომისიები შედგება თავმჯდომარისგან და 12 წევრისგან.

ცესკოს ხუთ წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო შვიდს – მონაწილე პოლიტიკური პარტიები. ცესკოს თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ

წარმოდგენილი კანდიდატებიდან ირჩევენ ცესკოს ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული წევრები. თუ ისინი კანდიდატურაზე ვერ შეთანხმდნენ ან ამ უფლებაზე უარი თქვეს, საბოლოო არჩევანი საქართველოს პარლამენტზეა (სწორედ ასე მოხდა ცესკოს დღევანდელი თავმჯდომარის არჩევისას).

საოლქო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ირჩევს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო 7 წევრს პარტიები ნიშნავენ. კომისიის თავმჯდომარეს კომისია ირჩევს თავისი შემადგენლობიდან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ანალოგიური წესით იქმნება საუბნო საარჩევნო კომისიებიც.

ყველა საფეხურის საარჩევნო კომისია ქმნის საარჩევნო ორგანოთა ერთიან სისტემას. გარდა უშუალოდ არჩევნების ჩატარებისა, მას ევალება კონტროლი საარჩევნო კანონმდებლობის ზუსტად და განუხრელად შესრულებაზე.

ამომრჩეველთა სიები

ამომრჩეველთა ერთიან სიაში შედის საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელიც საქართველოს საჯარო რეესტრშია რეგისტრირებული და საარჩევნო უფლება გააჩნია. ამომრჩეველთა სიაში ყოფნა აუცილებელი პირობაა იმისა, რომ მოქალაქემ თავისი საარჩევნო უფლება განახორციელოს.



ამომრჩეველთა ერთიან სიაში შედის ამომრჩევლის შესახებ შემდეგი მონაცემები: გვარი, სახელი; დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი); მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით); საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი; ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრაციის თარიღი. თუ მოქა-

ლაქე სხვა სახელმწიფოში ცხოვრობს, სიაში მიეთითება, რომ ის „საკონსულო აღრიცხვაზეა“, ან (თუ საკონსულო აღრიცხვაზე არ დგას) – „იმყოფება უცხოეთში“. სიაში ამომრჩევლის მონაცემები შედის მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის შეიქმნა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია. მასში თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპით შევიდნენ ხელისუფლების, ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახდენს ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის კარდაკარ გადამოწმებით. თავისი მუშაობის შედეგები მან ცესკოს 2012 წლის 1 აგვისტომდე უნდა გადასცეს.

საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია, ამომრჩეველთა სიები და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული წესი კომისიის პირველივე შეკრების დღეს თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას იმ შენობაში, სადაც მუშაობს. ეს საშუალებას მისცემს ნებისმიერ ამომრჩეველს, სიაში აღმოჩენილ უზუსტობასთან დაკავშირებით მას პრეტენზიით მიმართოს.

კენჭისყრის პროცესი

არჩევნების დემოკრატიულობა ყველაზე მეტად კენჭისყრის პროცესით იზომება. სწორედ ამ დროს ხდება ამომრჩევლის ნების რეალიზება, რის შედეგადაც დგინდება, ვინ წარმოადგენს მოქალაქეებს წარმომადგენლობით ორგანოში.



ამ დროს ყველა დეტალს აქვს მნიშვნელობა, რათა თითოეულმა ამომრჩეველმა შეძლოს თავისი ნების თავისუფლად გამოვლენა და მას ჰქონდეს რწმენა, რომ საბოლოო შედეგები ნამდვილად ასახავს საარჩევნო უბნებში მოსული ადამიანების განწყობას.

საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის დილის 7 საათზე. 7-დან 8 საათამდე საუბნო საარჩევნო კომისია ამზადებს უბანს კენჭისყრისთვის: ლუქავს საარჩევნო ყუთებს, ითვლის მიღებულ საარჩევნო ბიულეტენებს და ა. შ.

საარჩევნო უბანი იღება და კენჭისყრა იწყება დილის 8 საათზე.

ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესების და თანამიმდევრობის დაცვით:

არჩევნებში მონაწილეობისთვის მოქალაქეს თან უნდა ჰქონდეს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირს – ასევე დევნილის მოწმობა. კენჭისყრის ოთახში შესვლის შემდეგ ის ამ საბუთ(ებ)ს წარადგენს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, სადაც ალფაბეტის მიხედვით მისი გვარია რეგისტრირებული.

რეგისტრატორი ახორციელებს ამომრჩევლის მარკირებას, რაც ნიშნავს თვალით უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი ქიმიური საღებავის წასმას. პროცედურის მიზანია ამომრჩევლის მიერ მრავალჯერადი ხმის მიცემის გამორიცხვა. თუ აღმოჩნდა, რომ ამომრჩეველი უკვე მარკირებულია, მას აღარ მიეცემა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) მიღებას. რეგისტრატორი ხელს აწერს მათ უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და ამოწმებს სპეციალური ბეჭდით. საპარლამენტო არჩევნებისას ამომრჩეველი იღებს ორი სახის ბიულეტენს, ერთს – მაჟორიტარული არჩევნებისათვის (სადაც შეტანილია პარლამენტის წევრობის კანდიდატთა გვარები), მეორეს კი – პროპორციული არჩევნებისათვის (სადაც შედის პარტიების და ბლოკების სახელწოდებები).

შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ბიულეტენებში შემოხაზავს სასურველი კანდიდატის ან პარტიის (ბლოკის) რიგით ნომერს. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

ამის შემდეგ ამომრჩეველმა ბიულეტენები ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ხმა. დაკეცილი ბიულეტენები მას მიაქვს განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, სადაც დამოუკიდებლად იღებს სპეციალურ კონვერტს, ათავსებს მასში ბიულეტენებს და აგდებს საარჩევნო ყუთში. საარჩევნო კომისიის წევრს არა აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა.

თუ ამომრჩეველს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მან ეს უნდა აცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მიიღოს ახალი.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ, ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტში ბიულეტენების ჩადებამდე მოსთხოვონ, უჩვენოს, რომ მას ხელში მხოლოდ დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს. ამომრჩეველი ვალდებულია, შეასრულოს ეს მოთხოვნა.

კონვერტის საარჩევნო ყუთში ჩაგდების შემდეგ ამომრჩეველმა დაუყონებლივ უნდა დატოვოს საარჩევნო უბანი.

თუ მოქალაქეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია საარჩევნო უბანში მისვლა, მას შეუძლია არჩევანი გააკეთოს გადასატანი ყუთის მეშვეობით, რის შესახებაც საარჩევნო კომისიას უნდა მიმართოს კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე მაინც.

საარჩევნო უბანი იკეტება 20 საათზე. მაგრამ თუ ამ დროისათვის მოსული ამომრჩევლები რიგში დგანან, საარჩევნო უბანი დაიკეტება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა მათგანი შეძლებს ხმის მიცემას.

შედეგების შეჯამება

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ იწყება ხმების დათვლა. საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს, აფორმებს შედეგების შემაჯამებელ ორ ოქმს, რომელთაგან ერთში აღნიშნულია ოლქში წარდგენილი ინდივიდუალური კანდიდატების, მეორეში კი – ყოველი პარტიის (ბლოკის) მიერ მიღებული ხმების რაოდენობა. ამ ოქმებს და საარჩევნო ბიულეტენებს ის საოლქო საარჩევნო კომისიას გადაუგზავნის.

საოლქო საარჩევნო კომისია წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე ადგენს საარჩევნო ოლქის მასშტაბით არჩევნების შედეგებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების საფუძველზე, არჩევნების დღიდან არა უგვიანეს მე-19 დღისა, თავის სხდომებზე აჯამებს საბოლოო შედეგებს და ადგენს ოქმს.

საარჩევნო დავები

როგორც არჩევნების წინა პერიოდში, ისე უშუალოდ ხმის მიცემის პროცესში არჩევნების მონაწილეებს თუ სხვა მოქალაქეებს შეიძლება გაუჩნდეს პრეტენზია, რომ მათი უფლებები, საარჩევნო კანონები და პროცედურები ირღვევა. ამ შემთხვევისთვის კანონი ადგენს გასაჩივრების პროცედურებს და ვადებს, აგრეთვე იმ პირთა წრეს, ვისაც აქვს კონკრეტული კანონდარღვევის გასაჩივრების უფლება.

პირველ რიგში, მომჩივანმა შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა მიმართოს. ეს უკანასკნელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში იხილავს განცხადებას/საჩივარს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. თუ ის მომჩივანისთვის დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

თუ დარღვევა უშუალოდ კენჭისყრის დღეს მოხდა, საჩივრის შემოტანის უფლება აქვთ მხოლოდ პარტიის/საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის და დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის წარმომადგენლებს. დარღვევა უნდა დაფიქსირდეს და გასაჩივრდეს უშუალოდ დარღვევის ჩადენის მომენტში შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში. საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში და სასამართლოში. არჩევნების საბოლოო შედეგები დგინდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლოების მიერ ყველა საჩივარი იქნება განხილული. ამიტომ საჩივრის განხილვის ვადები მეტად შემჭიდროებულია.

იმისათვის, რომ საარჩევნო დავები გამჭვირვალე იყოს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე შექმნილია საჩივრების რეესტრი (http://sachivrebi.cec.gov.ge/), სადაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, საარჩევნო კომისიებში შესული საჩივრების შესახებ ინფორმაცია მოიძიოს.